კლასიკურ
ნაწარმოებთა
კორექტივები
ქალთა
საერთაშორისო
წელთან
დაკავშირებით

10

ნიანგი

გამოცემის 52-ე წელი, (№ 1452). მაისი. 1975. ფასი 20 კაპიკი.



— რას ქსოვს ასე თავაუღებლად ოდისევსი?
— პენელოპას შემოუთვლია, სანამ ეგვიპტის ლაშქრობიდან დავ-
ბრუნდებოდე, ნაქსოვი პალტო დამახვედრეო!..

— დეზდემონა, სად არის შენი ცხვირსახოცი? მომეცი, გაგირეცხავ!

ეროვნული ბიბლიოთეკა



აკაკი მუხურაძე

რიგ სიახლეთა გატარებასთან დაკავშირებით, ჩვენი სამმართველო თათბირების სტიქიაში აღმოჩნდა.

თათბირები და თათბირები!..

მე შეუცვლელად ვმდივნობდი ყველა თათბირს და ოქმების წერაში მხდებოდა სული. სამმართველოს უფროსი ზედიზედ იძლეოდა დავალებებს, შენიშვნებს და აღტაცებას იწვევდა აზრის გამოთქმის ლაკონიურობით: „ვოტ, დურაკ!“ „რამ დაგამუნჯა, ბიჭო?!“ „კრეტინ!“

— ესეც შევიტანოთ ოქმში? — ვეკითხებოდი უფროსს.

— საკითხავია მაგი, შე დაუმთავრებელო?! — მიკივლებდა იგი და მეც შემქონდა, რომ მთავარი ინჟინერი „დურაკია“, ტექნოლოგი მუნჯია, ბუღალტერი გადარეულია, ეკონომისტი კრეტინია, ხოლო უფროსი გენიალური კაცია და ჩვენს მოსაჭკვიანებლად არის მოვლენილი ამ ქვეყანაზე.

საანგარიშო მანქანებზე გადამჯდარი ეკონომისტები გრანდიოზულ საორიენტაციო ციფრებს ისროდნენ. საწყალი მთავარი ბუღალტერი, ყოველი ციფრის გაგონებაზე, განცვიფრებისაგან მაღლა-მაღლა ხტოდა და თვალებს უცნაურად აელამებდა. ჩვენ, ყოველი შემთხვევისათვის, თოკი მზად გვქონდა.

ყოველ საათში ერთიმეორის საწინააღმდეგო დირექტივები ეგზავნებოდათ ფილიალებს. იქ თმა ყალყზე უდგებოდათ და ხელებს ასავსავებდნენ, ყველანი შეიშალენო! ეს დასკვნა, შეიძლება, წინასწარმეტყველური ყოფილიყო: გადაღლილობისაგან საარყე ქვაბივით გვედგა თავები კისრებზე და მზად ვიყავით, კბილებიო დაგვეგლიჯა მთელი ოცი წლის საორიენტაციო გაანგარიშებები. ვიღრინებოდით და ვიკბინებოდით. ადვილი მოსალოდნელი იყო, ერთ მშვენიერ დღეს, გავგიჟებულიყავით და სამმართველოს უფროსი შეგვეჭამა!.. დაძაბულობა უკიდურეს წერტილს აღწევდა და მისი განმუხტვა ადგილკომმა ითავა.

...30 კაცითა და პურ-მარილით დატვირთული ჩვენი ავტობუსი არაგვის ამწვანებულ ნაპირებზე მიჰქრის. დილაა ისეთი, რომ სამოთხეში გგონია კაცს თავი!..

შევარჩიეთ ადგილი, გავიძვრეთ „ჯინსები“ და ჩვენი ასაკის 20-30 წელი იმ „ჯინსების“ ჯიბეებში ჩავტოვეთ. გულამაჩუყებელი სანახაობა იყო: სამმართველოს უფროსი და მთავარი ინჟინერი მდინარის პირას იდგნენ ტრუსებით და ქვებს ისროდნენ. ეკონომისტები ჭიანჭველებს ითვლიდნენ, ორი მდივანი ქალი, „რვიანების რხევით“, მომაკვდავ გედს წარმოადგენდნენ. მთავარი ბუღალტერი დაოთხილი დასდევდა მოლარეს, მე ძაღლი ვარო. უფრო ახალგაზრდები ხეებზე მაიმუნებივით დაცოცავდნენ. კადრების განყოფილების უფროსს კი გამხმარ ჯირკვზე მიედო თავი და ხვრინავდა. ერთი სიტყვით, თვით ჟან ეფელის „სამყაროს შექმნაშიც“ ვერ ნახავდით ამაზე უკეთეს სურათს. ოღონდ აქ ზომაზე მეტი იყო წარმოდგენილი ადამ და ევა, ხოლო ჩვენგან დამფრთხალი მამაზეციერი ღრუბელზე შემოსკუპებულიყო და შეშინებული გვითვალთვალებდა იქიდან.

მერე საწყობის გამგემ დაიბღავლა, გვშიაო და სუფრასთან მივლაგდით. ერთი კვალი რომ გავიტანეთ, თამადა ავირჩიეთ (რა თქმა უნდა, უფროსი!).

პერსონალურ სადღეგრძელოებში დედა არ უგინებია, თორემ, ისე, აღარაფერი დაგვაკლო. განსაკუთრებით ახალგაზრდებს მოუთავა ხელი:

— სადაა, ბიჭო, თქვენი ჭაბუკური შემართება?! აბა, რომელი თქვენგანი მოსულხართ ჩემთან და გითქვამთ: „დიდად პატივცემულო რაჟდენიჩ! ამ საკითხს ასე დურაქულად რომ წყვეტთ, არ ჯობია, სხვანაირად გავაკეთოთ?“ ა, ბატონო, მე, ბევრი-ბევრი, კიდევ 30 წელი ვიყო ამ ადგილზე და ვნახოთ, რომელი ერთი შემცვლით!

— ამხანაგებო! — ყანწი შემართა მთავარმა ინჟინერმა და ვინაიდან ოთხკუთხა თავი მანქანებითა და დაზგებით ჰქონდა გამოტენილი და შიგ მეტყველების უნარი ვეღარ ეტეოდა, ამიტომ კითხვით მოგვმართა:

— რა ჰქვია, ამხანაგებო, იმ ძალას, ჩვენს დანადგარებს რომ ამოძრავებს?

— ტოკი! — წამოიძახა ვიღაცამ.

— ვაი, შენს პატრონს! ეს გახლავთ, ამხანაგო თათბირის მონაწილენო, დიდი ერუდიციის, დიდი ინტელექტის ძალა, ჩვენი არსენ რაჟდენიჩი!

— ოოო! — გაუკვირდა ხალხს.

— თქვენი პატიოსნება, რაჟდენიჩ, ლეგენდასავით შემორჩება კაცობრიობას! — ამბობდა უკვე მთავარი ბუღალტერი, — განა, ყოფილა ოდესმე თქვენ გეთქვათ: „რესპუბლიკის დამსახურებულო ბუღალტერო ხარლამპევ! ამ თანხას სპეცსასესხო ანგარიშზე რომ რიცხავ, შე პატიოსანო ადამიანო, აიღე და კაპრემონტის ანგარიშზე ჩარიცხე, მერე გადაიტანე კრედიტორების ანგარიშზე! მერე გადმოიტანე ანგარიშსწორების ანგარიშზე! შემდეგ გადაიტანე რეგულირების ანგარიშზე! მერე გადმოაბრძანე განსაკუთრებულ ანგარიშზე! ბოლოს გამოიტანე სპეცფონდების სახით და ძმაკაცურად გავინაწილოთო!“

— მაგი შემახსენე ხვალ! — ჭკუაში მოუვიდა უფროსს, — ინვენტარზე რა ჰქენი?

ხალხი ახმაურდა.

— სიწყნარე, ამხანაგებო! ასე მუშაობა არ შეიძლება! — გაწყრა უფროსი.

— ამხანაგებო! ვინ არ იცნობს ჭიანჭველას? — აურია უკვე შემთვრალმა ეკონომისტმა, — იგი პატივისცემის ღირსი ცხოველია: თავისთავზე ორჯერ მეტ ტვირთს ეზიდება და შრომის ნაყოფიერების სტიმულს იძლევა! ჩვენ შეგვიძლია, თითოეულ მუშაზე ოთხი დაზგა გავაპიროვნოთ!

თათბირი ზენიტს აღწევდა.

— რას იტყვის ტექნოლოგი? — იკითხა უფროსმა. ტექნოლოგს სალაპარაკო ენა ყანწში ჩაეტოვებინა, ამიტომ პანტომიმას მიმართა: ხელი გაიშვირა ეკონომისტისაკენ, მერე შუბლზე მიირტყა და აქეთ-იქით გააქანა.

— ვის უბედავ მაგას, შე წუნისმკეთებელო?! — გადაირია ეკონომისტი .

— შე-ი-ტა-ნეთ ვოქმში! — დამარცვლა ტექნოლოგმა. მე ავტოკალამი ვიძვრე და უფროსისაკენ გავიხედე. ბიჭოს! უფროსიც მე მიყურებს! მიყურებს კი არა, შემჭამა თვალებით ამ უპატრონომ!..

— რა გაქვს, ბიჭო, ხელში?! — დავიხედე და, ჰოი, საკვირველებავ!..

— ყანწი! — ვიკივლე მე. მერე ვიგრძენი, როგორ დაუსხლტდა ფეხი ტვინს და შექანდა!..

ახლა საბიჯგშეყენებული ტვინით დავდივარ და, თუ დალაგებულად ვერ მოგიყევით ყველაფერი, ნუ დამცინებთ! სხვა რა მეზე იცინეთ! ცოტაა სასაცილო?!

დევიზი — „არაგვი“

ნიანგის საგზაო ნიშნები

ნახ. გ. ფირცხალავასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიუროკრატიზმის ისტორია

ბიუროკრატიზმს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. მის საწყისებს ჯერ კიდევ ქვის ხანაში ვხვდებით. მაშინ, რა თქმა უნდა, ქაღალდი არ იყო და ქვაზე ამოკვეთდნენ ხოლმე ყოველგვარ საბუთებსა და ოქმებს, რომლებიც, როგორც ახლაა მიღებული ზოგიერთ დაწესებულებაში, დიდხანს, ძალიან დიდხანს ეყარა უყურადღებოდ.

ერთხელაც, ერთ-ერთ მოხერხებულ პირველყოფილ ადამიანს აზრად მოუვიდა ამ ქვის გროვის გამოყენება: ქვები ერთმანეთზე დააწყო და სახლი აიშენა. იგი შესანიშნავად იფარავდა უამინდობისა და მხეცებისაგან. ასე ჩაეყარა საფუძველი ბინათმშენებლობას, მაგრამ ბინების აშენებამ პირველყოფილი საზოგადოების სახლმმართველობებს საზრუნავი მოუმატა, გათავისუფლდა მრავალი კომუნალური მღვიმე...

ერთ მშვენიერ დღეს სახლმმართველობამ პირველყოფილი ადამიანის მეზობლად მდებარე მღვიმეში ვეფხვი ჩაასახლა. ადამიანს ეს, რა თქმა უნდა, არ ესიამოვნა და აღშფოთებული მიეჭრა სახლმმართველთან:

— ჩემი მეზობელი ისეთი თვალით მიყურებს, რომ დღეს შიშით გული კინაღამ გამისკდა! მიშველეთ რამე, სანამ გვიან არ არის! იცოდეთ, შემჭამს!

პირველყოფილმა ბიუროკრატმა ფრჩხილების შემოქლიბვას თავი ანება და გულგრილად უპასუხა:

მიკლოშ გერგელი

— რა გაყვირებთ?! ჯერ ხომ არ შეუჭამიხართ?! ასე როგორ შეიძლება?! რამ გაანერვიულა, ნეტავ, ეს ხალხი ასე?!

ბიუროკრატიზმი საკმაოდ გავრცელებული ყოფილა ძველ ეგვიპტეშიაც:

ერთ-ერთ პირამიდაში პაპირუსების მთელი გროვა აღმოაჩინეს, მათზე საიდუმლოებით მოცული იეროგლიფები იყო გამოსახული. დიდი კვლევა-ძიების შემდეგ მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ეს უყურადღებოდ მიტოვებული განცხადებები იყო, სათანადო საბუთებთან ერთად.

— მე არ გეგონოთ დამნაშავე! — წამოდგა ხმაურზე ერთი მუმია, — მე სულ რაღაც სამი ათასი წელიწადია, რაც აქა ვარ!..

მაგრამ თავის აყვავებას ბიუროკრატიზმმა შუა საუკუნეებში მიაღწია:

ერთხელ, ერთ დიდ ქალაქში, ექვსთავიანი ურჩხული შეიჭრა და ადამიანების ყლაპვა დაიწყო. ბოლოს, როცა ქალაქის მერის სახლს მიუახლოვდა და მის უდიდებულესობას პირი სტაცა, საიდანღაც რაინდი გამოჩნდა. მან ურჩხულთან შებრძოლება გადაწყვიტა.

— რა საქმეზე ხართ მოსული? — ჰკითხა მერმა უკვე ურჩხულის პირიდან.

— თქვენი გათავისუფლება მინდა! — უპასუხა რაინდმა.

— მიღების საათები უკვე დამთავრებულია! ხვალ შემოიარეთ! — თქვა ეს და ურჩხულმაც გადაყლაპა.

უნგრულიდან თარგმნა

ლილი მაისურაძემ

ანონიმისტის ფიქრები

მომისმინეთ, მეზობლებო! —
ქალებო და კაცებო! —
ზოგიერთი, ძველებურად,
ისევ ქურდობს, მტაცებლობს!..

თუნდაც, აგერ ტაქსის მძღოლი,
რომ ამაყობს, დიდგულობს,
სამუშაო საათებში
პურს და შაქარს ყიდულობს!

ნიკიფორე, ოჯახს გარდა,
არაფერზე აღარ წუხს,
სამსახურში, „პერერივზე“,
სულ იპარავს ათ-ათ წუთს!

სად იყიდა ციცომ პალტო —
წელში გამოყვანილი?
ბინ რომ მიდის ანდრო, მიაქვს
კარგა ბლომად მწვანილი!

კალენიკეს ფაცხა წინათ
იყო გამოშიგნული...
უცებ სახლი წამოჭიმა,
ქვეშ შეაგდო „ჟიგული“!

რეზომ დიდხანს ახრიგინა
„დტ“ მარკის ტრაქტორი,
უმაღლესი დაამთავრა,
გახდა ორდინატორი!

მისი სახლი დაბალია,
თვითონაა პატარა,
თავმჯდომარემ გოგო ცოლად
როგორ გამოატანა?

ვანო გაგვიქალაქელდა
(იმას ვერ გავეტოლე!)
ადრე იყო სოფლის კლუბში
სუფლიორად, მედოლედ!..

ახლა, თურმე, დირექტორად
გახდომასაც აპირებს,
მაინც არის პროტექცია,
მაგის ღმერთიც ვატირე!

რევაზ ოსეფაიშვილი
ვანო ცინცაძე

ნახ. მ. ბაბალიანისა

— ეს გოგო სულ ვარსკვლავებს ითვალავს!..
— რისი, კონიკის?!

იასონ თედიაშვილი

მინიკაჟურები

— გეგმა გეგმლება! ძალიან ვჩქარობთ, მაგრამ ტანსაცმლის ბოლო პრტალზე ღილების მიკერებას მანინ ვერ ვასწრებთ!
— არა უშავს, უღილებოდ გაუშვით!
— მერე, მომმარაგებელმა რა ჰქნას?
— მომხმარებელმაც ეგ ტანსაცმელი მაშინ ჩაიცვას, როდესაც სადმე აგვიანდება და ისე ჩქარობს, რომ ღილების შეკერას ვეღარ ასწრებს.

* * *

— კრავივით უცოდველი და უდანაშაულო კარ! ჭრიან, ასალებად კი არა, დასანახავადაც არასოდეს გავკარებივარ! თვითონ განსაკუთ: ოთხი მანჭანა მჭონდა სხვის სახელზე გაფორმებული! სამი ავარაკი ჩამომართვეს! შემნახველი სალარის ტუფ წიგნაკზე ალარაფერს ვიტყვი! ერთი ჩემოდანი ფული და ორი ქილა ბაკალო ოქრო ეზოში ჩემი ხელით ამოამთხრეეინეს! ჰოდა, ასეთი სიმდიდრის პატრონი კიდევ რაღაც საცოდავი ქრთამიდან-თვის ხელს გავისვრიდი?! სად არის ლოგიკა?! ხალი ინა ხართ?! დამიჯერეთ, ინტერიგის მსხვერპლი ვარ!

* * *

— წინათ, — თქვა თავმჯდომარემ, — ჩვენს სოფელში ის კაცნი ერთი ტრაქტორი მოდიოდა. ახლა ას ტრაქტორზე სოფლიდან ერთი კაცი მოდის. დრო, საქმეს მიეხედოთ! გვეყო ამოენი უმოქმედობა! ტრაქტორებს როდესაც უნდა შეეგამაცროთ!

ნახ. მ. ბაბალიანისა

— ბუშინ დაგინშნეს და უკვე დაიწყე თალლითობა?!
— აბა, აქ დიდხანს არ აჩერებენ და რა ვქნა?!

კახი კაკაბაძეი

ო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრული შარჟი გ. ფირცხალავასი

ბორის პაიჭაძეს!

ღირსო დაფნის და ამბორის!—
შენს სადღეგრძელოს ვსვამ,
ბორის!

შენზე შეიქმნა მითების
და ლეგენდების მთა-გორი!

ხარ მართლაც უკვდავ გოლების
გენიალური ავტორი! —
ბურთის ექსმეფე! მოედნის
ექსტრა ექსბატონ-პატრონი!

შენ — დიდოსტატი დრიბლინგის!
სწორუპოვარი სოლისტი! —
დარჩები ნორმად, ნიმუშად
ჩვენი ფეხბურთის სკოლისთვის!

დღეს არავინ გვყავს შენებრი, —
გული რომ მისცეს გოლისთვის!..
ვით მიწის ბურთი ერთია, —
ისე ერთი ხარ ბორისი!

გვეყოფა, ბორის, ძვირფასო,
რაც გვიბურთავეს „დინამო“! —
რაც საყვარელმა „დინამომ“
ცრემლები დაგვადინაო!

გუნდს პაიჭაძე ახალი,
გვინდა, გაუძღვეს წინაო! —
გავიმეოროთ ტაშკენტი!
გმირულად გავიფინალოთ!

გიჩანს მღერად და თამაშად
განვლილი წელი სამოცი!
გვეამაყება სუყველას,
რომ გიმზერთ ასე ძალმოსილს!

ას ოცით ნულზე მოგეგოს
სიბერისათვის! (გაოცდი?!)
მე სწორედ ასე დაგლოცავ!
თასსაც ბოლომდე გამოვცლი!

ზაურ ბოლქვაძე

რეკლამა

(ანსამბლ „მზიურის“ მოტივებზე)



როცა ინათებს ჭადრებში
ლამპიონები, ფერებად, —
შენი რეკლამა, თბილისო,
სხვაგვარად დაიწერება!

აბრა კაშკაშებს, — სინათლე
რომ გამოგლიჯოს უკუნეთს!..
ირგვლივ ქალაქი ბრიალებს,
კაშკაშებს ეს საუკუნე!

და, ამ დროს, წითელ-ყვითელი
ნეონის ლამპა, მიმქრალი,
ისეა მისუსტებული,
თითქოს უქროდეს მისტრალი!

„კ უ ლ ტ უ რ ი ს“ ნაცვლად—„უ ლ ტ უ რ ა“!
„ქ ს ო ვ ი ლ ი“ ხდება — „ს ო ვ ი ლ ი“!
„რ ე ს ტ ო რ ა ნ ი“ კი —„ე ს ტ რ ა ნ ი“ —
კიაფობს, როგორც ცოდვილი!

„უ ნ ი ვ ე რ მ ა ღ ი“ — „მ ა ღ ი ა!
„ო ე რ ა“, — ალბათ, — „ო ე რ ა“!
რა გახდა, რეკლამბიუროს
ვინმემ ასწავლოს მ ა რ თ ლ წ ე რ ა?!



ნახ. მ. აბაშიძისა

— ჩვენი ქარხნის თვითშემოქმედებითი კოლექტივი ყოველდღე ასე იწყებს მუშაობას: „თებრონე მიდის წყალზედა...“

ქიშვარდ ისაკაძე 50 წლისაა

ქიშვარდ ისაკაძე 1943 წლიდან თანამშრომლობს ჟურნალ „ნიანგში“, ბეჭდავს საინტერესო კრიტიკულ-მამხილებელ მასალებსა და სატირულ-იუმორისტულ ნაწარმოებებს. იგი სამი პოეტური კრებულისა და რამდენიმე პიესის ავტორია. „ნიანგის“ ბიბლიოთეკის“ სერიით გამოცემული აქვს წიგნი — „იღბლიანი მეუღლე“. არის ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ქიშვარდ ისაკაძეს დაბადების 50 წლისთავი შეუსრულდა. „ნიანგის“ რედაქცია ულოცავს მას ამ ღირსშესანიშნავ თარიღს. უსურვებს დიდხანს სიცოცხლესა და ახალ-ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს!

შუადღის შემოძახილი

მე ანგელოზის ფრთებით დავტოვე შორეთი
და, საწუთროში, როგორც კი გონზე მოვედი,
გზა ავირჩიე მამაპაპური, წაღმართი
და სულ ოფლის ღვრით ამოვიარე აღმართი!
თუმც მხრებზე მაწევს ორმოცდაათის სიმძიმე,
მდინარესავით შუაღამისას ვიძინებ!
რა დამაძინებს? სულის და გულის იალქნებს
მოუსვენარი ფიქრები მიფორიაქებს!
რომ მაგონდება ჰეროდოტე თუ ლამბერტი,
სირცხვილის ცეცხლით ვიწვი, ვით მშრალი აბედი:
თუ რთვა-ქსოვაში მათ დროს არ გვყავდა ბადალი,
რად უნდა სჯობდეს დღეს ჩვენსას სხვისი ფართალი?
ხომ ვჭრიდით თვალებს ჩაცმით სპარსელს თუ ელადელს?!
დღეს, ჩვენზე უკეთ, სხვა რატომ უნდა კერავდეს?!
თუ ჩვენს წინაპრებს შეეძლოთ მკვიდრად შენება,
დღეს გულს რად გვიკლავს ზოგ სახლზე თვალის შევლება?!
თუ მთის კალთიდან თვით ვაჟაც კი არ დაძრულა,
დღეს ნამდვილ გლეხკაცს სოფელი რამ შეაძულა?!
თუ მთელ სიცოცხლედ ღირდა ვენახის ალერსი,
ღვინოს აბუჩად რად იგდებს დღეს უმრავლესი?!
თუ წინაპრები სიმდიდრედ თვლიდნენ მეტობას,
დღეს რად თაკილობს ქალი ცხრა შვილის დედობას?!
თუ იყო ჭირში მოყვარე მხოლოდ მშვენება,
მოხვეჭის წყაროდ რად იქცა დღეს გასვენება?!

როგორ დაჰკარგა ზოგ-ზოგმა ისე ნამუსი,
რომ დიპლომიან შტერებს ამრავლებს მამულში?!
მუშაკაცი რომ ცრუსწავლულს ცხრაჯერ სჯობია,
ვისაც არ ესმის, ის ჭკუით ავადმყოფია!
და სხვა ტკივილიც... თუმცა მრცხვენია ამის თქმის,
უნდა ვთქვა: ძმა ძმას რა გულით სწირავს სკამისთვის?!
რატომ არ არის ჯერაც ცნობილი ბევრისთვის,
რომ უფსკრულისკენ მიდის გზა კარიერისტის?!
ძვირფასო ჩემო! იქნებ გწადია, მედავო:
„ტურფა წალკოტში რაღა ეკლებსა ხედავო?!“
ხინჯი ვთქვი, თორემ საამაყო მაქვს იმდენი,
რამდენ ღრუბელსაც მზე ერეკება, მიდენის!

მე ანგელოზის ფრთებით დავტოვე შორეთი
და, საწუთროში, როგორც კი გონზე მოვედი,
გზა ავირჩიე საძნელო, მაგრამ წაღმართი!
მსურს, ჩავირბინო იმავ გზით მოკლე დაღმართი!..

ქიშვარდ ისაკაძე



ნახ. ა. ერაძისა



ნიანგის ფოსტა

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ჭოღის უდანოვის სახელობის კოლმეურნეობიდან წერილი მივიღეთ. მასში აღნიშნული იყო, რომ კოლმეურნეობაში ადგილი ჰქონდა უხეშ დარღვევებს, ხელმძღვანელობის არასწორი მუშაობის გამო. რედაქციამ წერილი გადაუგზავნა საქ. კპ ჩხოროწყუს რაიკომს, საიდანაც ასეთი პასუხი მივიღეთ:

„...გამოვლინებული დარღვევებისათვის სოფელ ჭოღის უდანოვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ტ. პ. საჯაია გაათავისუფლა სამუშაოდან, მიღებულ იქნა ცნობად, რომ ანალოგიური დარღვევებისათვის მას ადრევე საქართველოს კპ ჩხოროწყუს რაიკომის ბიუროს 1974 წლის 30 ნოემბრის დადგენილებით გამოცხადებული აქვს სასტიკი საყვედური.

წალკის რაიონის სოფელ კლდეკარის საბჭოთა მეურნეობის მუშამ რედაქციას წერილი გამოუგზავნა, წერილში მხილებული იყო კლდეკარის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, როგორც არაკეთილსინდისიერი მუშაკი. რედაქციამ წერილი საქ. კპ წალკის რაიკომს გადაუგზავნა. რაიკომმა გვაცნობა: **„ზ. ბ-ვი უჩიოდა კლდეკარის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ბ. ნ. იბრაგიმოვს, მეურნეობაში მისი არასწორი მოქმედების გამო.**

საქ. სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით ბ. იბრაგიმოვი განთავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან“.

ჟურნალ „ნიანგის“ გასული წლის № 22-ში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი სათაურით — **„სორტუანი — სიცოცხლის ელექსირი“**, სადაც ლაპარაკია ონის რაიონის ბუნებრივი რესურსების გამოუყენებლობაზე, რომელიც წარმოადგენს მიგრაციის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს.

აღნიშნული საკითხი განიხილა საქ. კპ ონის რაიკომმა და გვაცნობა: **„...პარტიის რაიონული კომიტეტი, რაიონის ხელმძღვანელი საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები ახორციელებენ გარკვეულ ღონისძიებებს წერილში აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ზემდგომ ორგანოებში აყენებენ საკითხებს წერილში დასმული ზოგიერთი პრობლემების გადაწყვეტისათვის.**

...უწერის წყლის ჩამოსხმის გაუმჯობესებისათვის განხორციელდა ჩამომსხმელი ქარხნის რეკონსტრუქცია და ახლა ხდება წყლის მექანიკური ჩამოსხმა.

რესპუბლიკური პროფსაბჭოს წინაშე დასმულია საკითხი, რომ 1975 წელს გაგრძელდეს 500-ადგილიანი ორი კორპუსის მშენებლობა კურორტ შოვში... საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების საბჭომ მიმდინარე წელს შეადგინა ქ. ონში სორტუანის წყლის ბაზაზე ბალნეოლოგიური კურორტის მშენებლობის ტექნიკური დოკუმენტაცია, რომლის განხორციელება დაიწყება 1975 წელს.

დასმულია აგრეთვე საკითხი კურორტ უწერაში მეორე სანატორიუმის მშენებლობის შესახებ“.

სარედაქციო კოლეგია: ზ. გოლუბაძე (პ/მგ. მდივანი), ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, ბ. ლოგინიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), ბ. ნიშნიანიძე (მთ. რედ. მოადგილე), ბ. ფირცხალავა, ო. ჯელიძე. ⊙ სარედაქციო საბჭო: ბ. ნიშნიანიძე (მთ. რედაქტორი), ⊙ ტექნიკური რედაქტორი ბ. ჯოხალაშვილი, ⊙ თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის ბეჭდვითი ორგანო „ნიანგი“. ⊙ ბეჭდვა ასაწყობად 25/IV-75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/V-75 წ. ⊙ ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,4 ⊙ სპარეთველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ⊙ შეკვ. 1784. უე 01913 ტირ. 135.070. ⊙ Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги». ⊙ Издательство ЦК КП Грузии. ⊙ Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14. ⊙ რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ტელეფონები: 99-76-69, 98-19-42, 98-10-78, 98-49-32.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გეგაზაშვილი

ნახატი თემების ავტორები: ლ. ასათიანი, ნ. ოსიპოვი, ბ. ბაბუაძე, ბ. ბეძე, ბ. კუცია, ბ. ბაბუაძე, ა. ერაძე, ბ. ლომაძე.

N. 404

ნახ. გ. ლომიძისა

ამერიკის შეერთებული შტატების კანზასის შტატის გენერალურმა პროკურორმა ტერორისტულ-რასისტული ორგანიზაცია კუ-კლუკს-კლანი კანონის მფარველობაში გამოაცხადა.

Индекс 76137

ელექტრონული ბიბლიოთეკა

კანზასური „ვახტანგური“.

არგენტინაში გრძელდება თავდასხმები და მკვლელობები, რომლებიც გაპირობებულია პოლიტიკური მოტივებით. ტერორისტული ჯგუფების მიერ მიმდინარე წელს არგენტინაში უკვე მოკლულია 150 კაცი.

არგენტინული ნადირობა

დრო გამოასწორებდა!

ინგლისის ცურვის ასოციაციამ ჯიმი ჰელოუზს მოუხსნა დისკვალიფიკაცია, რომელიც მან მიიღო წესების უხეში დარღვევისათვის... 1908 წელს.

ასოციაციის ხელმძღვანელობა მართებულად მიიჩნევს რომ ჰელოუზს, რომელსაც ამ დღეებში 90 წელი შეუსრულდა, საკმაო დრო ჰქონდა... გამოსასწორებლად.

არას დარდობს

ლიზელოტა ლინზენჰოფი, რომელიც მიუნხენის ოლიმპიადაზე ოქროს მედალს დაეუფლა საცხენოსნო სპორტში, ვალებში ჩავარდა. მას გფრ-ის საგადასახადო უწყების 30 მილიონი მარკა ვალი აქვს! მაგრამ ლინზენჰოფი არ დარდობს. ოლიმპიური ჩემპიონი ოლიმპიური სიმშვიდითაც გამოირჩევა და ამბობს:

— ინფლაციის კიდევ ორიოდე წელიც და, ფულს ისე დაეკარგება მნიშვნელობა, რომ ჩემი ვალის გადახდა მეტად იოლი საქმე იქნება!

რატომ შეინიღბა მიულერი

როგორც სპორტული პრესა იუწყება, მეკარეთა რისხვამ — გერდ მიულერმა, რომელიც მიუნხენის „ბაიერნში“ თამაშობს, მოკლედ შეიკრიჭა თმები (აქამდე იგი ძალიან გრძელ თმას ატარებდა), მაგრამ მოუშვა წვერი.

— ეს იმიტომ გავაკეთე, რომ მცველებმა ვერ მიცნონ! — ხუმრობით თქვა მიულერმა.

ვერ მორიგდნენ... დისტანციებში

აშშ-ის ყოფილმა ჩემპიონმა 400 მეტრზე რბენაში, ბეტსი მატსონმა, მოითხოვა განქორწინება თავის ქმართან — ცნობილ სტაიერთან, რომელსაც ბრალი დასდო... სადიზმში.

მატსონის სიტყვით, ქმარი მას, ვარჯიშის მიზნით, ყოველდღიურად ორჯერ აიძულებს გაირბინოს... 5.000 მეტრი!

გივი გამრეკელი